სამოქალაქო იარაღის და ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების შეკეთების ლიცენზიის აღებასთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- ✓ წერილობითი განცხადება;
- ✓ სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;
- ✓ სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ იურიდიული პირისათვის: ყველა დამფუძნებლის, ხელმძღვანელის, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, შტატით გათვალისწინებული და ხელშეკრულებით მოწვეული თანამშრომლების სია (სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, თანამდებობის, პირადობის მოწმობის ნომრისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით), ნასამართლობის/უფლების ჩამორთმევის, დანაშაულისთვის მსჯავრდების, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნისა და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ცნობების წარმოდგენით;
- ✓ ინდ. მეწარმისათვის: მისი ნასამართლობის/უფლების ჩამორთმევის, დანაშაულისთვის მსჯავრდების, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის, ფსიქიკური მდგომარეობის, დეპორტაციისა და სათანადო განათლების ან/და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ცნობები (სერტიფიკატი, მოწმობა, ორგანიზაციის რეკომენდაცია); ასევე, იმ ფიზიკურ პირთა სია (სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, თანამდებობის, პირადობის მოწმობის ნომრისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით), ნასამართლობის/უფლების ჩამორთმევის, დანაშაულისთვის მსჯავრდების, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის, ფსიქიკური მდგომარეობისა და დეპორტაციის შესახებ ცნობების წარმოდგენით, რომლებიც ლიცენზიის მფლობელს ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელებაში დაეხმარებიან.
- ✓ სათანადო განათლების ან/და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ცნობა (სერტიფიკატი, მოწმობა, ორგანიზაციის რეკომენდაცია, გამოცდის ჩაბარების ცნობა ან იარაღის გამოყენებისა და შენახვის წესებთან დაკავშირებით გადამზადების ან სამხედრო სამსახურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი);
- ✓ შესაბამის შენობა-ნაგებობაში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ შესაბამისი შენობა-ნაგებობის ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაცია;

ნორმატიული აქტები:

- ✓ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“ (მე-16, 27-ე და 27^1-ე მუხლები);
  https://matsne.gov.ge/document/view/14944?publication=75

- ✓ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი (მე-6 მუხლი)
  https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86

ვებ-გვერდი: www.exportcontrol.mod.gov.ge